შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (10.156)

1 თებერვალი 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მემორანდუმი საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისთან“

თებერვლიდან დედოფლისწყაროში მცხოვრები 6-12 წლის ბავშვები საფეხბურთო მომზადებას საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ მეთოდოლოგიით გაივლიან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიასა და „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა და „დინამოს“ საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ლევან გვანცელაძემ 28 იანვარს მოაწერეს.

შეთანხმების საფუძველზე, მიმდინარე წლის თებერვლიდან დედოფლისწყაროელი 6-12 წლის ბავშვები საწვრთნელ მომზადებას საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ მეთოდოლოგიით გაივლიან.

ლევან გვანცელაძის განცხადებით, მემორანდუმი მიზნად ისახავს ასევე ადგილობრივი მწვრთნელების გადამზადებას, დედოფლისწყაროელი ახალგაზრდა ფეხბურთელების რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში მონაწილეობას და სხვა აქტივობებს, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და სპორტის ამ სახეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს შესაძლებლობა დედოფლისწყაროში ფეხბურთის განვითარების საუკეთესო საშუალებაა და სტიმულის მომცემი იქნება.

„პროექტი, რომელსაც თებერვლიდან „დინამოს“ საფეხბურთო სკოლასთან ერთად ვიწყებთ, უნიკალური შესაძლებლობაა ჩვენი ბავშვებისთვის. იმედი მაქვს, მალე დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები სპორტის ამ სახეობაშიც დიდ წარმატებებს მიაღწევენ. ამისთვის ჩვენ არაფერს დავიშურებთ და ხელს მაქსიმალურად შევუწყობთ“ - განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, უკვე შერჩეულია სამი ადგილობრივი მწვრთნელი, შალვა შაიშმელაშვილი, ვასილ მაძღარაშვილი და მარლენ ნატროშვილი, რომლებიც პროექტის ფარგლებში გადამზადებას გადიან.

„გადამზადებას ეტაპობრივად გავდივართ, 6-7-8 თებერვალს სალიცენზიო გამოცდებზე გასასვლელი ტრენინგები გაიმართება. მწვრთნელის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცდების ჩაბარება მოგვიწევს. როგორც ვიცით, საკმაოდ დიდი დაინტერესებაა მოზარდებში და ბევრ მსურველს ველოდებით. დანარჩენი დეტალები უახლოეს დღეებში დაზუსტდება“ — ამბობენ მწვრთნელები.

წინასწარი ინფორმაციით, სამი ჯგუფი შეიქმნება, გამოყენებული იქნება დედოფლისწყაროს სპორტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის დედოფლისწყაროს ცენტრალურ პარკში ახლადმოწყობილი თანამედროვე სტადიონი.

წელიწადში ორჯერ სპეციალური საფეხბურთო ფესტივალის ჩატარება იგეგმება, სადაც სხვადასხვა ქალაქების მოზარდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების შედეგად ბავშვებისთვის მინიმალური ყოველთვიური გადასახადი დაწესდება. პროექტის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ დედაქალაქთან შედარებით მუნიციპალიტეტში სწავლის საფასური ათჯერ ნაკლები იქნება და სიმბოლური ხასიათი ექნება, რათა ხელმისაწვდომი იყოს მსურველებისთვის.

მერიაში გამართულ შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი დოდო ხუნაშვილი, პროექტის მენეჯერი გია ისიანი და რეგიონალური კოორდინატორი ბესო აბულაძე ესწრებოდნენ. თანამშრომლობის შესახებ მხარეებს შორის მოლაპარაკება გასული წლის დეკემბერში შედგა.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

წარმატებულ მოსწავლეებს ლეპტოპები გადასცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშვილმა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს ლეპტოპები გადასცეს.

დაჯილდოების ცერემონიალი დედოფლისწყაროს წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. პროგრამა სახელწოდებით — „ჩემი პირველი კომპიუტერი“, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება და მისი მიზანი საქართველოს საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეების პორტაბელური პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფაა. პროგრამის ფარგლებში, ლეპტოპი 30 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა. ამჯერად დაჯილდოვდნენ:

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა — 8 მოსწავლე
ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა — 4 მოსწავლე
ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა — 4 მოსწავლე
ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა — 3 მოსწავლე
ხორნაბუჯის საჯარო სკოლა — 3 მოსწავლე
სამრეკლოს საჯარო სკოლა — 3 მოსწავლე
გამარჯვების საჯარო სკოლა — 1 მოსწავლე
არგოშიკის საჯარო სკოლა — 1 მოსწავლე
ქვემო ქედის საჯარო სკოლა — 1 მოსწავლე
ზემო ქედის №2 საჯარო სკოლა — 1 მოსწავლე
არხილოსკალოს საჯარო სკოლა — 1 მოსწავლე

,,სოფლის დახმარების“ პროგრამა იწყება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა დაიწყო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე, მოქალაქეებს ეძლევათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ინფორმაციის თავისუფლად მიღების, საპროექტო წინადადებების შემუშავების, წარდგენის, მათ შესახებ ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობის უზრუნველყოფის სახით. მუნიციპალიტეტი ყველა შესაძლო საშუალებით მოახდენს პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, საერთო კრებებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პროცედურების ორგანიზებასა და მათი სხდომების ჩატარების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საპროექტო წინადადებების მოქალაქეებისგან იღებენ მერიის უფლებამოსილი პირები, რომლებიც განსაზღვრული არიან მერის შესაბამისი ბრძანებით.

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების, სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	ზემო ქედი	07.02.2025 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
2	არხილოსკალო	07.02.2025 წ 13 სთ	კონსულტაცია	16 000
3	ქვემო ქედი	07.02.2025 წ 14 სთ	კონსულტაცია	20 000
4	სამთაწყარო	12.02.2025 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
5	ფიროსმანი	12.02.2025 წ 13 სთ	კონსულტაცია	16 000
6	საბათლო	12.02.2025 წ 14 სთ	საერთო კრება	12 000
7	ოზაანი	14.02.2025 წ 11 სთ	კონსულტაცია	16 000
8	თავწყარო (ოზაანის თემი)	14.02.2025 წ 13 სთ	საერთო კრება	10 000
9	ხორნაბუჯი	14.02.2025 წ 14 :30 სთ	კონსულტაცია	20 000
10	ჭოეთი (ხორნაბუჯის თემი)	14.02.2025 წ 16 სთ	საერთო კრება	10 000
11	ზემო მაჩხაანი	20.02.2025 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
12	მირზაანი	20.02.2025 წ 13:30 სთ	საერთო კრება	16 000
13	არბოშიკი	20.02.2025 წ 14 :30 სთ	კონსულტაცია	20 000
14	გამარჯვება	21.02.2025 წ 12 სთ	კონსულტაცია	20 000
15	სამრეკლო	21.02.2025 წ 14 სთ	კონსულტაცია	20 000

პოლიტიკური კალეიდოსკოპი

ქვეყანაში ორთვიანი უწყვეტი პროტესტის ფონზე, ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ არანაირი ახალი არჩევნები არ იქნება. ანალიტიკოსები იმ შიდა და გარე ფაქტორებზე საუბრობენ, რომელიც შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

მათი შეფასებით, ამ მხრივ თებერვალი და მარტი მნიშვნელოვანი პერიოდი იქნება. „მგონია, რომ ეს ის ორი თვე იქნება, როდესაც გარკვეულწილად შეერთებული შტატებიც უნდა ჩამოყალიბდეს და უფრო მკაფიო გახადოს „ქართული ოცნების“ მიმართ პოზიცია“,- აცხადებს ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე. ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე კი აღნიშნავს, რომ შიდა პროცესებზე გავლენა ექნება ერთადერთ რამეს და ეს „გარედან დაფინანსების შეწყვეტაა“.

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე კი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ტრამპის დაცვის იმედი აქვს. განცხადებას კი უფრო გაზაფხულისკენ ელოდება. „ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ჩინეთთან ურთიერთობა, ასევე ორბანთან როგორ მომწიფდება სიტუაცია. ბოლო ხანებში ვნახეთ, რომ ტრამპის გარემოცვამ ევროპის მიმართ დამოკიდებულებაში სიმკაცრე გამოავლინა, სიტუაცია ისეთი შეიქმნა, რომ ჩვენ ევროპა სულ გვეჩხუბება და ახლა ტრამპის დაცვის იმედი გვაქვს“, - აცხადებს საყვარელიძე, რომლის თქმით, „ამდენად ევროპა-ტრამპის ურთიერთობაზე დამოკიდებულები ვართ“.

„ხალხის ძალის“ წევრი დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, რომ გარდაუვალია პროცესების „სწორ კალაპოტში ჩადგომა“ - „აშშ-ში დონალდ ტრამპის ხელმეორედ გაპრეზიდენტება, რომელმაც მნიშვნელოვანი გზავნილები გააჟღერა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ გარდაუვალია პროცესების სწორ კალაპოტში ჩადგომა, მათ შორის, უკრაინაში ომის დასრულება. თუმცა, საქართველომ ახლაც პირველ რიგში საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას. ჩვენს ქვეყანას აქამდე ეს რომ არ გაეკეთებინა, თუნდაც ერთი შეცდომა რომ დაეშვა, ის ნამდვილად გახდებოდა დიდ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გასარკვევი სათამაშო“, - აღნიშნა ხუნდაძემ.

მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა სამუშაო შეხვედრა გამართა. გიორგი ალადაშვილმა კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი, სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს: 2025 წელს დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები რეგიონის მასშტაბით, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან; სოციალურ - ეკონომიკური მიმართულება.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ, სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - პლატონ კალმახელიძე, გივი მეტრეველი, ლევან ლილუაშვილი და ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, არჩილ თხლაშიძე ესწრებოდნენ.

„წელს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი მკვეთრად გაზრდილია“

დედოფლისწყაროს მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით ე.წ. დღგ-ს თანხას დედოფლისწყაროს ბიუჯეტი წელს ორჯერ და უფრო მეტი რაოდენობით მიიღებს, ამის მიზეზი კი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაა. მერი კონკრეტულ ციფრსაც ასახელებს და ამბობს, რომ შარშან ამ მუხლით მხოლოდ 6 მილიონი შემოვიდა, წელს კი ეს ციფრი 14 მილიონს აღემატება. ამის შესახებ მერმა ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში სტუმრობისას განაცხადა. ჯანიაშვილის მტკიცებით, ეს შემოსავალი ყოველწლიურად მზარდია, რაც ქვეყნის შეუქცევად განვითარებაზე მეტყველებს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „თუ ცენტრალური ბიუჯეტიდან დღგ-ს თანხა გასულ წელს 6 მილიონი დაგვემატა, 2025 წელს ეს შემოსავალი 14 მილიონს აღემატება, რაც მკვეთრი ზრდაა. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისად გაიზარდა ჩვენი რაიონის ბიუჯეტი, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვანი მიმართულებებით გავანაწილოთ ეს თანხა და მეტი სიკეთე მივიდეს ადამიანებამდე. ჩვენთვის პრიორიტეტია მოქალაქე, ამდენად მნიშვნელოვნად გავზარდეთ სოციალური პროგრამები, საბავშვო ბაღებს დაემატა 1 მილიონი. სიამაყით აღვნიშნავ, რომ საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობით დედოფლისწყარო ერთერთი მოწინავეა. წინასწარ დადგენილი ფორმულის მიხედვით ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცენტრალური ბიუჯეტიდან იღებს დღგ-ს გარკვეულ პროცენტს. ეს შემოსავალი უკვე რამდენიმე წელია გაუჩნდა რეგიონებს. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პარალელურად ეს თანხა ყოველწლიურად იზრდება და საშუალება გვაქვს სასიკეთო საქმეში გამოვიყენოთ. როცა სკეპტიკურად განწყობილი მოქალაქეები და რადიკალური ჯგუფები ამბობენ, რაში გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და როგორ გრძნობს ამას მოქალაქეო, მათ მინდა ვუპასუხო, რომ აი სწორედ აქ ჩანს ქვეყნის წინსვლა, როცა გასულ წელს 6 მილიონი მივიღეთ, წელს კი 14 მილიონზე მეტი გვერგება. ეს ნამდვილად მეტყველებს ქვეყნის სწორ კურსზე“.

კახეთში ამოღებულია უკანონო იარაღი — არიან დაკავებულები

თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს - დაკავებულია 9 პირი, აქედან 4 კახეთშია. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეცოპერაცია ჩატარდა დედოფლისწყაროშიც. კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლისა და საგარეჯოს რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 4 პირი: 1989 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი დ.ბ., 1979 წელს დაბადებული ზ.მ., 1974 წელს დაბადებული დ.შ. და 1973 წელს დაბადებული ე.ვ. დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად დედოფლისწყაროში, ლაგოდეხში, ყვარელსა და საგარეჯოში ნივთმტკიცებად ამოღებულია: 3 ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფი, 4 მჭიდი, 77 ვაზნა და 1 ხელყუმბარა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ღვინისა და აგროტურიზმის საქმიანობები, რომელთა შემოსავლებით 700 ათას ლარამდეა, არ დაიბეგრება

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილებები შევიდა. ცვლილებების მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისთვის იზრდება შემოსავლების ზღვარი, რა შემთხვევაშიც მათი საქმიანობა არ დაიბეგრება.

უფრო კონკრეტულად, 2025 წლის პირველი იანვრიდან დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობები არ ექცევიან დაბეგვრის სისტემას იმ შემთხვევაში, თუ მათი წლიური შემოსავლები 500 000 ლარამდეა. ცნობისთვის, წინა დადგენილებით ეს ზღვარი 100 000 ლარს შეადგენდა.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში ზღვრის ფარგლებში არ ექცევა შემდეგი საქმიანობები:

****ქონების იჯარით გაცემა;***

****სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;***

****სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგება;***

****ჩუქება;***

****ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით: უძრავი ქონება; ავტოსატრანსპორტო საშუალება და ფასიანი ქაღალდები;***

****მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;***

****დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;***

****პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;***

****როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;***

****ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი;***

****პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.***

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სისტემაში ექცევა ღვინისა და აგროტურისტულ საქმიანობაში ჩართული სუბიექტები, თუმცა მათთვის ზღვარი 700 000 ლარით განისაზღვრა.

2025 წლის პირველი ოქრო

25–26 იანვარს ქ. საგარეჯოში ჩატარდა რეგიონალური ტურნირი 8–12 წლამდე ასაკის გოგონებსა და ვაჟებს შორის. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ – საგარეჯოს სპორტული გაერთიანება და კახეთის ჭადრაკის ფედერაცია. ტურნირი ჩატარდა ფიდეს წესების დაცვით 7 ტურად. მთავარი მსაჯი – გიორგი (გოგი) კიკილაშვილი. ტურნირში მონაწილეობდა რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტი.

დედოფლისწყაროს ღირსებას იცავდა 7 მოჭადრაკე: 1. რვა წლიან ვაჟები-ა) დავითაშვილი გაბრიელი ბ) მგელიაშვილი მიქაელი. 2. 12 წლამდე გოგონები-სალომე კვიწინაშვილი, ბარბარე მაძღარაშვილი და ანა თეთვაძე 3. 12 წლამდე ვაჟები - ა) მათე მარტყოფლიშვილი ბ) ნიკოლოზ ბერიძე.

შედეგები:

1. 12 წლამდე ასაკის გოგონები ვერცხლი — **სალომე კვიწინაშვილი**;

2. 12 წლამდე ასაკის ვაჟები: ოქრო — **მათე მარტყოფლიშვილი**;

ვერცხლი — **ნიკოლოზ ბერიძე;**

სასიხარულოა ჩვენი მოჭადრაკეების ეს წარმატება. ყველა გულშემატკივარს ვულოცავ 2025 წლის ამგვარ დასაწყისს. რომ იტყვიან: ეს ერთი და სხვა მრავალი!

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ პატარა ასაკში (7-8 წლიანები) ე.წ. საბრძოლო სკამი ძალიან მოკლე გვაქვს, ამიტომ თხოვნით მივმართავ მშობლებს, პაპა-ბებიებს, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლის მოსახლეობას: როგორც კი ბავშვს (4,5 წლის ასაკიდან) შეამჩნევთ ჭადრაკის თამაშის ნიჭს, მოგვმართეთ! ამ ნაბიჯით შესაძლებელია საქართველომ აღმოაჩინოს ახალი ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და სხვ. დიდი ილია ამბობდა: „ბავშვების ფიზიკური გაკაჟება კარგი საქმეა, ხოლო მათი გონების წვრთნა - აუცილებელი!“.

მთავარი მწვრთნელი
გიორგი (გოგი) კიკილაშვილი

რაგბის განვითარება დედოფლისწყაროში

საქართველოს მთავრობის ინიციატივით რეგიონებში რაგბის ინფრასტრუქტურის განვითარება მიმდინარეობს, რომელიც რამდენიმე წლიან პერიოდზეა გაწერილი. 2025-2026-2027 წლებში რაგბის ინფრასტრუქტურის მშენებლობა იგეგმება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც. ამის შესახებ რაგბის კავშირის სხდომაზე ისაუბრეს.

„ამჟამად, სარაგბო ბაზების მოწყობა მიმდინარეობს ჩაქვში, ქობულეთში, შუახევში და წყალტუბოში; განათლების სამინისტრო ინფრასტრუქტურულ პროექტებს განახორციელებს ამბროლაურში, ლენტეხში, სურამში, ვარკეთილში, კისისხევსა და ავჭალაში; საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით მომდევნო სამი წლის განმავლობაში იგეგმება ყაზბეგის, საგარეჯოს, ხაშურის, თბილისის ზღვის, რუსთავის, ზესტაფონის, ვარკეთილის მეურნეობის, ოზურგეთის, გურჯაანის, მესტიის, ჭიათურა/საჩხერის, ბოლნისის და დედოფლისწყაროს სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობა; რაგბის კავშირი საკუთარი შემოსავლებით ეტაპობრივად გეგმავს „ვისოლის“, ქუთაისის და მარტყოფის სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ასევე „ავჭალის“ სტადიონზე დამატებითი ტრიბუნის მოწყობას. მიმდინარეობს უნივერსიტეტის ქუჩასა და ლისის ტბის სარაგბო ინფრასტრუქტურის პოტენციალის ანალიზი; სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, რაგბის კავშირს საკუთრებაში გადაეცა ვარკეთილის მეურნეობის, არმაზის სტადიონის, ვისოლის, მარტყოფის, ხაშურის და თბილისის ზღვის მოედნის მიწის ნაკვეთები“ — აღნიშნეს რაგბის კავშირში.

საანგარიშო ყრილობაზე აღინიშნა, რომ მათი აქტიური მხარდამჭერია ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, რომელთა დაფინანსებითაც არაერთი ბაზის აღდგენა-რეკონსტრუქცია მოხდა.

2023 წელს რაგბის კავშირს „ქართუსგან“ 14 სარაგბო ბაზა გადაეცა, რომელთაც გასული წლის განმავლობაში ჩაუტარდათ რეაბილიტაცია: განახლდა და შეიცვალა როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნურსაფარიანი მოედნები; მოეწყო ან განახლდა სატრენაჟორო დარბაზები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა გასახდელებს და შენობებს; მოეწყო რეკრეაციული სივრცე.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის სტატისტიკა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შექმნის მიზნით, 2024 წელს ახორციელებდა ეპიდსიტუაციის მართვის, იმუნიზაციის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, მალარიის, რაბიოლოგიის (ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის), იოდდეფიციტის, C ჰეპატიტის, შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინიგის სახელმწიფო პროგრამებს. ცენტრი უწყვეტად ამარაგებდა მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულებას ვაქცინებითა და სწრაფი ტესტებით. ინფექციურ დაავადებებზე დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი ატარებდა კვლევას სათანადო წესის დაცვით.

დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტში 2023-2024 წელს დაფიქსირდა ინფექციური დაავადებებია:

	2023 წელი	2024 წელი
ჩუტყვავილა	43	32
ქუნთრუშა	18	13
ყივანახველა	1	2
ტუბერკულოზი	3	1
სასუნთქი გზების ინფექცია	377	335
გრიპი	26	38
მენინგოკოკური	1	0
ბრუცელოზი	3	3
ენტერობიოზი	81	63
ასკარიდა	9	6
ლეპტოსპიროზი	1	1
ლეიშმანიოზი	1	1
სალმონელოზი	0	1
ტულარემია	1	0
ცოფის რისკის დაკბენა-დაკაწვრა)	309	316
ქვეწარმავლის ნაკბენი	3	5
C ჰეპატიტი	5	3
შიდსი /აივ ინფექცია	0	0
სწრაფი ტესტით სიფილისი	0	1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი 2019 წლიდან ატარებს მოსახლეობაში C ჰეპატიტის, შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებულ სკრინიგს კარდაკარ შემოვლის მეთოდით. (2024 წელს სკრინინგი ჩაუტარდა 245 მოქალაქეს). ასევე შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის“ სტაციონარული განყოფილების ყველა პაციენტსა და „დედათა და ბავშვთა“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირს უტარდება C ჰეპატიტის, შიდსისა და სიფილისის სწრაფი ტესტირება. ორივე დაწესებულებაში ჩატარებული ტესტირებიდან 2024 წელს C ჰეპატიტი დაუდასტურდა -3-ს, შიდსი/აივ ინფექცია - 0 (არ დადასტურებულა), სიფილისი -1 (სწრაფი ტესტირებით, დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა შემდგომ კვლევა. დღეის მონაცემებით შემდგომი კვლევა არ ჩატარებია)

2024 წელს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით განხორციელდა „იოდდეფიციტის საპროფილაქტიკო პროგრამია“, რომელიც ფარგლებშიც კვლევაში მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს სკოლის X-XI-XII კლასის 292 მოსწავლემ. მათ შორის 68-ს გაეწია სპეციალური დახმარება და დროულმა პრევენციამ აარიდა მოზარდებს შემდგომი გართულებები. კერძოდ, 46-ს პროგრამის ფარგლებში უფასოდ ჩაუტარდა ლაბორატორიული, ეხოსკოპიური კვლევა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, 22-ი კი მხოლოდ კონსულტაციას საჭიროებდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით მომატებულია გრიპის შემთხვევები. ვირუსს ახასიათებს: ცხვირიდან გამონადენი, ხველა, ცხელება, სახსრებისა და თავის ტკივილი, მადის დაქვეითება, ზოგიერთ შემთხვევაში კი პნევმონია (ფილტვების ანთება). გართულების თავიდან ასაცილებლას დროულად მიმართეთ ექიმს და იმოქმედოთ მისი რჩევების შესაბამისად.

პროფილაქტიკური ღონისძიებების დაცვა საუკეთესო საშუალებაა ინფექციური დაავადებების თავიდან ასაცილებლად. გაითვალისწინეთ ექიმების რეკომენდაციები. დაიცავით თქვენი და თქვენი ახლობლების ჯანმრთელობა.

დედოფლისწყაროში ელექტრო ავტომობილების სატუმბი სადგური ამოქმედდა

დედოფლისწყაროს ცენტრში ელექტრო ავტომობილების სატუმბი სადგური ამოქმედდა. მოწყობილობა დედოფლისწყაროს მერიამ დაამონტაჟა და ის კომერციული ხასიათის არ იქნება. როგორც მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განმარტა, სარგებლობა უფასო იქნება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ელექტრო ავტომობილების სატუმბი სადგური დამონტაჟდა ქალაქის ცენტრში, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ. ასე რომ, კიდევ ერთ ახალ სერვისს ვთავაზობთ დედოფლისწყაროელებსა და მის სტუმრებს. მინდა გითხრათ, რომ ავტომობილის დამუხტვა იქნება სრულიად უფასო. თავის მხრივ ეს არის ზრუნვა გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაზე. მოგეხსენებათ, ორიოდ წლის წინ იუნესკომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მიანიჭა ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი, რაც მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს. ეს გვავალდებულებს განსაკუთრებულად ვიზრუნოთ ჩვენს გარემოსა და ლანდშაფტზე. იმედი მაქვს, ჩვენი ეს ნაბიჯი კიდევ უფრო წაახალისებს დედოფლისწყაროელი მძღოლების სურვილს, ელექტრო ავტომობილები შეიძინონ და მათი რაოდენობა იმედია გაიზრდება. მათ მივცემთ შესაძლებლობას, ადგილზე დამუხტონ ავტომობილები. ასე რომ, მობრძანდით მერიის ეზოში, ისარგებლეთ სამუხტი სადგურით და სრულიად უფასოდ დატვირთეთ თქვენი ელექტრო ავტომობილები. გვექნება დასატვირთი თავაკების სრული ასორტიმენტი, რათა ყველა ტიპის ავტომობილს მოერგოს და სხვადასხვა ტიპის ავტომობილებმა შეძლონ ამ სადგურით სარგებლობა“.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

„მოდიოდა ნინო მთებით...“

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა მსოფლიოში. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა. საქართველოზე ადრე ქრისტიანობა ბერძნებმა და სომხებმა მიიღეს. თუმცა, არსებობს გადმოცემა, რომ ქრისტიანობა საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, პირველად ანდრია მოციქულმა I საუკუნეში იქადაგა. სწორედ ამიტომ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სამოციქულო ეკლესიად მოიხსენიება.

ლეგენდის თანახმად, ანდრია მოციქული ქრისტიანობის გავრცელების მიზნით საქართველოში წმინდა მარიამ ღვთისმშობელმა გამოაგზავნა, რადგან თავად უკვე დაუძლურებული იყო და ეს მისია ანდრია პირველწოდებულს დააკისრა. IV საუკუნეში კი, იბერიის სამეფოში ქრისტიანობა წმინდა ნინომ იქადაგა.

წმინდა ნინოს, ქართველთ განმანათლებლის ცხოვრება მეტად საინტერესოა, რაც სასურველია, ყველა ქრისტიანმა იცოდეს. წმინდა ნინომ უამრავი რამ გადაიტანა, თუმცა, მთავარია, იგი უფლის გზით ცხოვრობდა, რაც უამრავი დაბრკოლების და სიძნელის გადალახვაში დაეხმარა. წმინდა ნინოზე და მის ცხოვრებაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ ეს ყველაფერი ერთ პატარა და ძალიან ლამაზ ლექსში პოეტმა ანა კალანდაძემ აღწერა. ალბათ, ყველა მიხვდით, ეს ლექსია „მოდიოდა ნინო მთებით“:

ლურჯ მწვერვალებს ქარი რმისფერ ნისლში ხვევდა
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტეეებში ქარიშხლები ბღაოდნენ
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა უცხო მგზავრი,
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე
მიეძინა ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს;
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“- ეუბნება იესო
გაეღვიძა წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტეეებში ქარიშხლები ბღაოდნენ.

27 იანვარს, დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში, სწორედ ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ხსენების (გარდაცვალების) დღესთან დაკავშირებით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა - „მოდიოდა ნინო მთებით...“.

ღონისძიება გახსნა და კაბადოკიელი ნინოს შესახებ ისაუბრა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა. ლექსები წაიკითხეს ნიკა ხოსიტაშვილმა და ნატალი აბულაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ და ნინოობის დღესასწაული მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშვილმა, გაზეთ „შირაქის“ დირექტორმა ინგა შიოლაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა ია ბუნტურმა.

ანალოგიური საინფორმაციო ღონისძიებები გაიმართა მუნიციპალიტეტის სოფლების ბიბლიოთეკებში.

გთავაზობთ, მცირე ისტორიულ ექსკურსს წმ.ნინოს შესახებ:

წმინდა ნინო დაახლოებით 280 წელს დაიბადა კაბადოკიაში, ქრისტიანთა ოჯახში. ნინო ოჯახის ერთადერთი შვილი იყო. მამა - ზაბულონი, წმინდა გიორგის თანამოქალაქე და სამხედრო პირი იყო, დედა - სოსანა იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და იყო.

საქართველოს მიწაზე ფეხი წმინდა ნინომ 319 წელს დადგა. საქართველოში იმ დროს მირიან მეფე მეფობდა, სატახტო ქალაქი მცხეთა იყო და ერი კერპთაყვანისმცემლობას მისდევდა.

ნინო ჯავახეთის მთებით შემოვიდა ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზეთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა, რომ წერილი წარმართთა მეფისთვის მიერთმია, რადგანაც ამისთვის იყო მოვლენილი. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და, როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი.

მცხეთაში წმინდა ნინო მაშინ მოვიდა, როდესაც ხალხი წარმართ მეფესთან ერთად მცხეთასთან ახლოს მდებარე მთაზე კერპებისთვის მსხვერპლის შესაწირად მიდიოდა. გადმოცემის თანახმად, მთავარი კერპი არმაზი იყო და მას გვერდებზე ორი შედარებით პატარა კერპის ქანდაკება ჰქონდა მიდგმული - გაც და გაი. როდესაც წმინდანს დაუნახავს ამდენი ხალხი როგორ ემორჩილებოდა უსულო, წარმართულ ღმერთებს, თვალცრემლიანს ლოცვა დაუწყია უფლის წინაშე. წმინდანის ლოცვით ცა მოქუფრულა, საშინელი წვიმა და სეტყვა წამოსულა და სრულად დამსხვრეულა წარმართული კერპები. წმინდა ნინო ქალაქ მცხეთაში, მეფის მებაღის ცოლთან დასახლდა. ხშირად ლოცულობდა და მისი ლოცვით უფალი მრავალ სასწაულს უვლენდა მოსახლეობას, მრავალი სნეული განიკურნა, უშვილო ოჯახებს შვილი მიეცათ.

გოდგის სამონასტრო კომპლექსში, წმინდა ნინოს საფლავზე, როგორც საფლავის ძეგლი, დგას წმინდა გიორგი ძლევამოსილის და წმინდა ნინოს სახელოგის საკათედრო ტაძარი – მე-9 საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა. წმინდა ნინოს თმეგით შეკრული ვაზის ჯვარი კი თბილისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ინახება.

✍ ჟუჟუნა ყანჩაშვილი

,,მთაში ვარ დაბადებული, სილაღე მომდევს მთებისა...“

დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის, ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდმა მორიგი სოლო კონცერტი გამართა ზემო ქედის კულტურის სახლში. საანგარიშო ღონისძიებაზე „მთაში ვარ დაბადებული, სილაღე მომდევს მთებისა“ წარმოდგენილი იყო უწყვეტი ციკლი - ადამიანის დაბადებიდან გარდაცვალებამდე, შესრულდა სიმღერები და რიტუალები, რომელებიც დაკავშირებულია ადამიანის ყოფა-ცხოვრებასთან.

ანა ლოლაშვილი: „ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდი უკვე მეორე წელია რაც ჰ. გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს და ქართული ფოლკლორის შესწავლა-პოპულარიზებას ეწევა. მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონკურსებში ვმონაწილეობთ, თუმცა, ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადებით სოლო კონცერტისთვისა და წლის შეჯამებისთვის. არც ეს სოლო კონცერტი იყო გამონაკლისი. უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდის პრიორიტეტია აღმოსავლეთ მთის ფოლკლორის შესწავლა და იმ ტრადიციებისა და რიტუალების გახსენება, რომელიც მხოლოდ მთაშია შემორჩენილი, ბარში კი მივიწყების პირასაა. მოგეხსენებათ, ჩვენს გუნდში ერთიანდებიან მთიულები, სწორედ ამიტომ, ჩვენი სოლო კონცერტი მთლიანად აგებული იყო მთის ტრადიციებზე.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი გვქონდა ციკლი - ადამიანის დაბადებიდან გარდაცვალებამდე. შევასრულეთ ყველა ის რიტუალი, რონელიც დაკავშირებული იყო ადამიანის ყოფა-ცხოვრებასთან: დაბადება, ავადმყოფობა, ტრფიალი, ქორწილი, შრომა, დატირება და სხვა. ასევე იმით იყო გამორჩეული ეს საღამო, რომ გაჟღერდა ყველა მთიულისთვის ახლობელი მწერლების, გოდერძი ჩოხელისა და ვაჟა ფშაველას ნაწარმოებები. ღონისძიებამ მიიღო სპექტაკლის სახე და ტაშის გარეშე ჩაიარა ციკლმა - ადამიანის დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ღონისძიებამ დიდი გამოხმაურება და დადებითი შეფასება დაიმსახურა. თითოეული მსმენელის მოხიბლვა, ბავშვებისთვის დიდი სტიმული

და მოტივაციაა. მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის! პირადად ჩემთვის ყველაზე დიდი გამარჯვება ის იყო, რომ თავად ბავშვებმა ისიამოვნეს ამ პროცესით.

ერთი საათის განმავლობაში გადავინაცვლეთ ბარიდან მთაში და ისინი თავიანთ ფესვებს უფრო მეტად დაუახლოვდნენ. ღონისძიების დასასრულს, ჩვენი სკოლის დამფუძნებელმა დათო ცინცაძემ მიულოცა და წარმატებები უსურვა ქედების გუნდს. მადლობა ყველას, ვინც ამ ბავშვებს შემახვედრა, მადლობა მშობლებს ნდობისთვის.. განსაკუთრებული მადლობა ჩვენი სკოლის დამფუძნებელს, დათო ცინცაძეს და თამარ თამაზაშვილს, ჩვენს მუნაციპალიტეტსა და ჩვენს სალოტბარო სკოლას მხარდაჭერისთვის..

დავით ცინცაძე: „ვუსმენდი და ვფიქრობდი, კარგი იქნება, თუ ასეთი სკოლები ბევრი იქნება, განსაკუთრებით რეგიონებში. ქართული ხალხური სიმღერა მცირედი ქორეოგრაფიით ბუნებრივად არსებობდა. მნიშვნელოვანია, რომ ანამ საკუთარი ხელწერა შემოიტანა ჩვენს სკოლებში. ეს პირველი პრეცედენტი იყო, როცა ჩვენს სკოლებში მსგავსი ტიპის საღამო შედგა. მადლიერი ვარ, რომ ანას დამოუკიდებელი გადაწყვეტილება იყო და ასე გაამართლა. შინაარსიანი და წარმატებული იყო, მუსიკალურადაც, ღირებულებითაც, ხედვითაც. რთული საყურებელი იყო, თუმცა მნიშვნელოვანი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტესა და სიკვდილის შვილები ვართ. ძალიან დიდი შრომაა ჩადებული ამ ბავშვებში და მადლობელი ვარ. ბევრჯერ მითქვამს, რომ ეს გუნდი იმდენადაა მზად და ისე კარგ ფორმაშია, რომ სიამოვნებით ჩავწერდი მათ სიმღერას. ახლაც იგივეს ვიტყოდი, ვუსმენ მათ და მესმის რადიოსპექტაკლიც. სიამოვნებით ჩავწერდი მათ, ნაწილ-ნაწილ და ვაქცევდი რადიო სპექტაკლად. ავიღებ პასუხისმგებლობას, რომ თუ ამას დროულად მოვახერხებთ, სანამ საზოგადოებრივ რადიოზე ვმუშაობ, ეთერში გავუშვებდი და ამ ყველაფერს მოვასმენინებდი მთელქვეყანას. საოცრად სმენადი საბავშო გუნდია, თვალს რომ დახუჭავ, საოცარი შინაარსი აქვს, ამ ბავშვებისგან საოცარი ემოცია მოდის. ეს ერთადერთი მაღალი ხარისხის წარმოდგენაა, რომელიც თბილისში არ არის დავანებული. ყველაფერი მსგავსი დედაქალაქში იყო. რაიონში ასე დამოუკიდებელ დასს განეხორციელებინოს ასეთი ნაყოფიერი სამუშაო, მე მსგავსი პრეცედენტი ბოლო პერიოდში არ მახსოვს. ერთი ორი შემთხვევაა, მეგულება წარმატებული ფილიალები, მაგრამ ამდენად ხარისხიანი შესრულება არსად არ მინახავს, მითუფრო საზღვრისპირა სოფელში, ამას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. მშობლებს ვთხოვდი, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოაშოროთ ამ საქმეს ბავშვები, მაქსიმალურად შეუწყეთ ხელი. ჩვენც ვეცდებით განვითარების შესაძლებლობა მივცეთ“.

თამარ თამაზაშვილი: „მზიანი დღე დააყენეს მზესავით ბავშვებმა, რომელთაც სიმღერით მოგვიყვნენ ადამიანების მიერ დაბადებიდან სიკვდილამდე განვლილი გზა. ეს იგივე სამყაროს გზაა. საოცარი მარგალიტები მოვისმინეთ, თუმცა, ესაა ნაწილი იმისა, რაც შექმნილა და დღემდე შემოინახეს ამისთანა მომღერლებმა. მადლობა მინდა ვუთხრა ანას ასეთი შრომისთვის, უდიდესი პასუხისმგებლობისთვის, მადლობა ასევე გუნდის თითოეულ წევრს. რა თქმა უნდა, მადლობა მშობლებს, შესაძლოა მშობელი ბოლომდე ვერც აცნობიერებდეს რაოდენ დიდ საზრდოს აძლევს ამით საკუთარ შვილს, როცა ფოკლკორს აზიარებს. შედეგი უფრო მეტად გამოჩნდება, როცა წლები გავა და ისინი დამოუკიდებლად ცხოვრებას დაიწყებენ. მერე უკეთესად იგრძნობენ რაოდენ მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარეს ამ წლებში“.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

ვაშლოვანის ნაკრძალის წლიური ანგარიში

დაცვა-პატრულირება

2024 წლის იანვრიდან დაცვის განყოფილების თანამშრომლები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ახორციელებენ „სმარტ პატრულირებას“. 2024 წლის განმავლობაში დაცვის სადგურებზე რეინჯერებმა განახორციელეს 3 708 საპატრულო გასვლა. რეინჯერების მიერ საპატრულო მარშრუტებზე განვლილმა მანძილმა შეადგინა 33 545 კილომეტრი. სამანქანე საპატრულო ჯგუფის მიერ განხორციელდა 70 საპატრულო გასვლა. ვაშლოვანის ადმინისტრაციის დირექტორის მიერ წლის განმავლობაში ჩატარდა 24 მოულოდნელი რეიდი.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს და კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გრძელდებოდა SMART პატრულირების ტექნოლოგიის დანერგვა. იანვრის თვიდან დაინერგა SMART პატრულირების ახალი, უფრო სრულყოფილი პროგრამა. რეინჯერებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები. დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის ყოველი თვის დასაწყისში ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შესაბამისი თვის პატრულირების გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ტერიტორიის სმარტპატრულირება. მონაცემების საფუძველზე მზადდება ყოველთვიური ანგარიში და იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

სამართალდარღვევები

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 2024 წლის განმავლობაში შედგენილია 9 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. დაცვის რეჟიმის დარღვევაზე შედგა 3 ოქმი, უკანონო ძოვებაზე - 6 ოქმი. საანგარიშო პერიოდში ხანძრების შემთხვევებს ადგილი არ ქონია.

ინფრასტრუქტურა

ნოემბრის ბოლოს დაცული ტერიტორიების საგენტოს დახმარებით სპეცტექნიკის გამოყენებით, მოხდა „უსახელოს - მიჯნისყურის“ 6 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია. დეკემბრის თვეში დამთავრდა ცენტრალური ბუნგალოების წყლით უზრუნველყოფის მიზნით 150 მეტრის სიღრმის არტეზიული ჭის გაბურღვა-მოწყობა. წყლის დებეტმა ერთ საათში შეადგინა 5 ტონა. ტახისწყლის ხეობის სათავეში მიმდინარეობს რეინჯერთა ახალი სადგურის მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში დაცულ ტერიტორიაზე სამ ლოკაციაზე დამონტაჟდა ახალი სასაზღვრო ნიშნული, 10 ლოკაციაზე გარემონტდა საგზაო (მიმართულების) ნიშნული. მიჯნის ყურის ბუნგალოების სველ წერტილებში შეიცვალა წყლის ონკანები. არწივის ხეობის და ბუღა მოედნის (ვოლიერი) დაცვის სადგურის ამორტიზებული ხის მოაჯირები შეიცვალა კუთხოვანი რკინის მოაჯირებით. არწივის ხეობის ბუნების ძეგლზე მოხდა ბარიერების რეაბილიტაცია.

სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგი

ვაშლოვანის ტერიტორიაზე აღწერილია 700 მცენარის სახეობა, მათ შორის 28 კავკასიის და 5 საქართველოს ენდემი, საქართველოს „წითელი ნუსხის“ 13 სახეობის მერქნიანი მცენარე. აქ გავრცელებულია ძუძუმწოვრების 62, ფრინველის 135, ქვეწარმავალის 30, თევზების 20 და ამფიბიების 4 სახეობა. მათ შორის - „წითელი ნუსხის“ 34 სახეობის ცხოველი, მათგან ძუძუმწოვრების 10, ფრინველების 20 და რეპტილიების 4 სახეობა. გვხვდება ასევე კავკასიის ენდემური სახეობები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე ქურციკების რეინტროდუქციის პროექტი. საქართველოში ქურციკების პოპულაციის აღდგენის პროექტი დაიწყო 2013 წელს. პროექტი ხორციელდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF), კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი გარემოსდაცვითი სტრუქტურების მხარდაჭერით. 2023 წლის ბოლოსათვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ქურციკების რიცხოვნობამ 350 ინდივიდს მიაღწია. 2024 წლის ივნისისთვის სამუხის ველზე ქურციკების რაოდენობამ 400 ინდივიდს გადააჭარბა და კიდევ უფრო ხელშესახები გახდა საქართველოში ქურციკის აღდგენისა და მდგრადი პოპულაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. სასიხარულოა, რომ 2024 წელს ვაშლოვანის ადმინისტრაციას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის გადაეცა თერმული ხედვის დრონი.

ეკოტურიზმი

2024 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ეწვია 5004 ვიზიტორი. წინა წელთან შედარებით ეს ციფრი 920 ერთეულით (16%) არის შემცირებული (5 924 ვიზიტორი 2023 წელს) რაც შეეხება შემოსავლებს, 2023 წლის მონაცემებთან შედარებით (87 739 ლარი) 2024 წლის ტურისტული სერვისებიდან შემოსული თანხა შეადგენს 76 698 ლარს. შემოსავლები შემცირებულია 13%-ით. ვიზიტორებისა და შესაბამისად შემოსავლის შემცირება შესაძლოა გამოწვეული იყოს ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო.

შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიღებულია ბუნგალოების გაქირავებითა და შესვლის გადასახადით.ვიზიტორთა 43% მდედრობითია, ხოლო 57% მამრობითი. **ვიზიტორთა 47% არის ქართველი, ხოლო-53% უცხოელი.**

ვაშლოვანის სტუმრები უცხო ქვეყნებიდან ძირითადად იყვნენ გერმანიიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, ბელგიიდან და ნიდერლანდებიდან.

პატრულირება, კანონაღსრულება

2023 წელში მოქმედი პატრულირების

მარშრუტებმა თითოეული უბნისა და სარეინჯეროს მიხედვით ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების შესაბამისად განიცადეს კორექტირება (ათი სადღეღამისო მუდმივმოქმედი რეინჯერთა დაცვის სადგური: ვაშლოვანის, პანტიშარის, ცენტრალური შესასვლელის, მიჯნის ყურის, ცენტრალური ბუნგალოების, ბუღა მოედნის (ვოლიერის), არწივის ხეობის, შავი მთის, კაკლის ყურის, ჰერეთის ფონის). მოწმდება სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღის ტარების და შენახვის წესების დაცვა, რეინჯერთა მიერ ფორმის ტანსაცმლის ტარების წესი, საპატრულო მარშრუტებზე რეინჯერთა მორიგეობა, არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სახანძრო ინვენტარის მდგომარეობა, დაცვის სადგურებზე სამსახურებრივი დოკუმენტაცია.

რისკების მართვა

საპატრულო ჯგუფის და ადგილზე დაცვის სადგურებზე რეინჯერების მიერ საანგარიშო პერიოდში პატრულირებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს. სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა საუბრები დაცულ ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ბინების მეპატრონეებთან და მწყემსებთან, დაცული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფ. საბათლოს და სოფ. კასრისწყალის მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

სახანძრო ინვენტარი გადანაწილებულია ველზე რეინჯერთა დაცვის სადგურზე. ივნისის დასაწყისში დაცვის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის ინსტრუქტაჟი. ხანძარსაშიშ პერიოდში მაღალი რისკის ტერიტორიებზე წარმოებდა ინტენსიური პატრულირება. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფომაციის გავრცელება და მიწოდება ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორებისთვისაც. **2024 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ხანძრებითა და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.**

2024 წლის იანვრიდან დაიწყო მასალების შეგროვება ბუნების მატიანეს მოსამზადებლად. 2025 წლის იანვრის თვეში მოხდება 2024 წლის „ბუნების მატიანეს“ მომზადება.

ვინაიდან 2024 წლის პირველი ნახევარი ნალექიანი იყო, ვაშლოვანში ძლიერი წვიმების შედეგად ხევებში რამდენიმეჯერ მოხდა უცაბედი წყალმოვარდნები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

2024 წლის განმავლობაში გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 810 ადამიანმა, მათ შორის: 501 მოსწავლე, 86 პედაგოგი, 88 სტუდენტი, 135 ადგილობრივი მოსახლე.

ფლორა და ფაუნა

ზამთრის პერიოდში მერქნიანი მცენარეები იმყოფებოდნენ მოსვენებულ მდგომარეობაში. გაზაფხულზე მცენარეებმა დროულად გამოიტანეს კვირტები და ფოთლები. შემდეგ კი იყვავილეს. ზაფხულის პერიოდში ნალექების გამო მცენარეებს მეტად გაუმუქდათ მწვანე ფოთლები, ხოლო შემოდგომაზე დაეწყოთ ფერის ცვლა და ფოთოლცვენა. დეკემბრიდან ხეები გადავიდნენ მოსვენებულ მდგომარეობაში. წლის მანძილზე მერქნიანი მცენარეების ვეგეტაციის პროცესში ანომალიებს ადგილი არ ქონია.

წითელი ნუსხის სახეობებიდან, რეინჯერებმა სმარტფონების მეშვეობით და ვიზუალურად რამოდენიმეჯერ დააფიქსირეს ფოცხვერი და დათვი.

2024 წლის განმავლობაში რეინჯერების მიერ დამონტაჟებული იყო ფოტოხაფანგები, ასევე რამდენიმეჯერ ცხოველების დაკვირვება მოხდა დრონის მეშვეობითაც, რის შედეგადაც დაფიქსირდნენ ღორების რამდენიმე მრავალრიცხოვანი კოლტი, ტურა, მელა, მგელი, ენოტი, მაჩვზღარბა, ფოცხველი, გარეული ლელიანის კატა და სხვა.

2024 წლის გაზაფხულისთვის გადამფრენმა ფრინველებმა ნელ-ნელა დაიწყეს ტერიტორიაზე დაბრუნება. ლეშიჭამია გადამფრენი ფრინველები (სვავი, ფასკუნჯი, ორბი) ვაშლოვანის ტერიტორიაზე დეკემბრამდე რჩებიან.

გადამფრენი ფრინველებიდან სამუხის ველზე ნოემბრის დასაწყისში დაფიქსირდა სარსარაკების შემოსვლა. 2025 წლის იანვარშიც სამუხის ველზე არაერთხელ აღინიშნა მათი მრავალრიცხოვანი გუნდები. მობუდარი ფრინველებიდან წლის მანძილზე ტერიტორიაზე ფიქსირდებოდნენ კაკბები, ხოხბები და მცირე რაოდენობით დურაჯი.

ნოემბერში ვაშლოვანის ტერიტორიაზე დამონტაჟდა 25 ცალი ფოტოხაფანგი. ფოტო-ვიდეო არქივს შეემატა ცხოველების მრავალი საინტერესო სურათი და ვიდეო.

ელდრის დაბლობი (სამუხი), სადაც ხორციელდება ქურციკის აღდგენის პროექტი, წარმოადგენს ბრტყელ ვაკეს, მისი ფართობია 13 273,43 ჰექტარი. იმისათვის, რომ ქურციკის აღდგენის პროექტი წარმატებულად გაგრძელებულიყო, საჭირო იყო სამუხის ველზე გავრცელებულიყო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის იურისდიქცია. ამ მიზნის გათვალისწინებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, WWF (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო-ს ჩართულობით და დიდი ძალისხმევით 01.01.2023 წლიდან სამუხის ველს მიენიჭა ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის სტატუსი.

სამუხის ველზე წინა წლების გვალვიანმა ზაფხულმა განსაკუთრებით გამოკვეთა წყლის მუდმივი და სტაბილური რესურსის არსებობის საჭიროება. აქედან გამომდინარე ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა მოამზადა ტრანსასაზღვრო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და აზერბაიჯანში ქურციკების საბინადრო ტერიტორიაზე ხელოვნური ტბორების მოწყობას. სამუხის ველის შემთხვევაში პროექტი წარმოადგენდა 5 კილომეტრის სიგრძის წყლის სისტემასა და სათავე ნაგებობას, რომელიც მზის ელექტროსადგურით უზრუნველყოფდა სპეციალურად შერჩეულ ლოკაციებზე მოწყობილ 3 ხელოვნურ ტბორს. ნოემბერში აქტიურად დაიწყო ადგილზე ტექნიკური სამუშაოები, რომელიც სხვადასხვა ეტაპებისგან შედგებოდა. თავდაპირველად განხორციელდა ტრანშეების გაჭრა და მილების მიწაში მოთავსება, შემდეგ საგუბრებისა და სათავე ნაგებობის მომზადება. ბოლოს დამონტაჟდა მზის ელექტროსადგური და სხვა საჭირო აღჭურვილობა და სისტემამ დაიწყო ფუნქციონირება.

ფოტომახეებისა და თერმული დრონის გამოყენებით პოპულაციაზე დაკვირვების მეტი საშუალება გაჩნდა, რამაც დადებითაც იმოქმედა ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლად ქურციკებსა და პოპულაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ცხოველთა პოპულაციების მდგომარეობა შემდეგნაირად შეიძლება შეფასდეს: ***ზოგიერთი სახეობის ცხოველის მაგ. დათვის, ფოცხვერის რიცხოვნობა მცირე ფარგლებში მერყეობს. ზოგირთი სახეობის რიცხოვნობა კი მომატებულია. მაგალითად მომატებულია ლელიანის კატის, ენოტის და მაჩვზღარბას რიცხოვნობა. მათი რიცხოვნობის მატება აიხსნება კარგი საკვები ბაზის არსებობით, შემაშფოთებელი პირობების სიმცირით და კარგი დაცულობით.*** საანგარიშო პერიოდისათვის გარეული ღორის კოლტების ნაწილი საკვების ძიებაში გასული იყო ჩვენი ტერიტორიებიდან. რაც შეეხება მგლებს, მათთვის კარგი საკვები ბაზაა - ცხვრის და მღრღნელების სახით და ამიტომ შეინიშნებოდა მათი სიმრავლე მანამ, სანამ ცხვრის ფარები დატოვებენ ვაშლოვანის ტერიტორიაზე არსებულ საძოვრებს. რაც შეეხება ქურციკებს, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა ქურციკები ოლიერთან შედარებით უკეთ შეეგუვნენ გაშლილ სამუხის ველს. ისინი ამ გაშლილ სივრცეში სწრაფი სირბილის უნარით ადვილად იცავენ თავს მტაცებელი ცხოველებისგან, ამასთანავე საკვებიც და წყალიც საკმარისი აქვთ, ყოველწლიურად ჰყავთ ახალი ნამატი და აქედან გამომდინარე მოიმატა მათმა რიცხოვნობამ.

ვინაიდან ნიამორი მთის ცხოველია, არასდროს ყოფილა გავრცელებული ვაშლოვანის ტერიტორიაზე. რამდენიმე წლის წინ მოხდა ნიამორის გაშვება აზერბაიჯანში, მინგეჩაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდეგაც 2024 წლის აგვისტოში ეს სახეობა პირველად დაფიქსირდა ვაშლოვანში, მიჯნისყურის მიმდებარე ალესილებში.

ვაშლოვანის ადმინისტრაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად ყველანაირად ხელს უწყობს ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში მდებარე საძოვრების გაიჯარების პროცესს. გაიჯარებას ექვემდებარება ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში მდებარე 16 088 ჰა საძოვარი. დღეისათვის იჯარით გაცემულია 11 057ჰა, დარჩენილია 5 031 ჰა საძოვარი. პროცესი გრძელდება და 2025 წლის განმავლობაში დამთავრდება. თებერვლის თვეში დაიწყო და მარტში დამთავრდა ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში მდებარე მეცხოველეობის ზამთრის ბინებში განთავსებული პირუტყვის სულადობის აღრიცხვა. როგორც დაცულ ტერიტორიაზე მდებარე, ასევე დაცული ტერიტორიის მიმდებარედ განლაგებული მეცხოველეობის ზამთრის ბინებში. მათ გავაცანით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოქმედი გარემოს დაცვითი კანონმდებლობა და დაცული ტერიტორიების ზუსტი საზღვრები.

/გაგრძელება გვ.8/

როგორ გავუმკლავდეთ ემოციებს

არსებობს შედარებით არაეფექტური გზა მტკივნეული განცდების გადასალახავად-სასურველის სინამდვილედ მიჩნევა, „ასე რომ მომხდარიყო“ - ან, „ასე რომ არ ყოფილიყო“- ადამიანი იძირება უსასრულო ფანტაზიებში, თუ რა შეიძლება მომხდარიყო ან როგორ მოიქცეოდა, თუკი... ეს კრიზისის გადალახვის არასაკმარისი ზომებია, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მოკლე დროით ამცირებენ ტკივილს, თანდათანობით აქრობენ ადამიანში აქტიური ბრძოლის უნარს. ადრე თუ გვიან მკაცრი სინამდვილე უბრუნდება ადამიანს და იგი აცნობიერებს, რომ ოდნავადაც ვერ წაიწია წინ მოვლენების ნამდვილი არსის გაგებაში. საშიში მომავალი უკვე დადგა, ის დრო კი, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა სიტუაციაზე ზემოქმედების ახალი ხერხების ძიებაში, ფუჭად დაიხარჯა.

კიდევ ერთი ნაკლებად ეფექტური გზა-სამედიცინო პრეპარატების და ნარკოტიკების გამოყენება. ბევრი ადამიანი კრიზისის დროს მიმართავს ალკოჰოლს, მედიკამენტებს, დიდი რაოდენობით ყავას და ნიკოტინს. ყველა ეს საშუალებები ემოციების ბიოქიმიაში უხეშად ერევიან, მაშინ, როცა საჭიროა ემოციების ბუნებრივი თვითრეგულაცია. ბევრი მათგანი თავისთავად ქმნის პრობლემებს, მაგალითად, კოფეინის ხშირი მიღება აძლიერებს შფოთვას. ალკოჰოლის ჭარბ მიღებას თან სდევს სოციალური კონტროლის დაკარგვა და ა.შ. უფრო მეტიც, ამ საშუალებებით გატაცება იწვევს მათზე დამოკიდებულებას და მათ ბოროტად გამოყენებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკაზე, რომელიც ისედაც დაზარალებულია ძლიერი სტრესით. გონიერება, განსჯა, კონცეტრაცია, უაღრესად საჭიროა, კრიზისის, პრობლემების გადაჭრის პროცესში. ამიტომ უგუნურებაა კიდევ უფრო დავაქვეითოთ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობანი. მედიკამენტებს შეძლიათ დადებითი როლი ითამაშონ მხოლოდ ხანმოკლე დროის მანძილზე, მაგალითად, რათა შევამციროთ უძილობა, მაგრამ ისინი არ შეიძლება ხანგძლივად გამოვიყენოთ კრიზისის გადალახვის უფრო ეფექტური საშუალებების სანაცვლოდ.

ემოციური წუხილის დასაძლევად, განსაკუთრებით კრიზისის საწყის პერიოდში, ეფექტურია ე.წ. აქტიური გადართვა. გადართვა შეიცავს აქტივობას, რაიმეთი დაკავებას, სხვადასხვა საქმის შესრულებას ისე, რომ ადამიანი კონცენტრირებული იყოს დასახულ ამოცანაზე და არა საკუთარ განცდებზე. აქ საქმე გვაქვს აქტივობასთან, მხოლოდ აქტივობისათვის და არა რაიმე მიზნის მისაღწევად. აქტიური გადართვა არც ის განრიდებაა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ტრავმატული სტრესის აღწერის დროს, განრიდება ჩვენი ფსიქიკის უნებური რეაქციაა და მას თან ახლავს ემოციური ჩაურთველობა. კრიზისის გარკვეულ პერიოდში, იგი დადებით როლს თამაშობს, რათა ადამიანმა თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. აქტიურ გადართვას კი, თან ახლავს ემოციები, რომლებიც ადამიანს აძლევენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის იგნორირება დაუშვებელია ახალი გამოცდილების მიღების პროცესში.

დგება მომენტები, როდესაც ემოციები იმდენად იპყრობს ადამიანს, რომ აქტიური გადართვა არაეფექტური ხდება. ეს ის მომენტებია, როდესაც სულიერი ტკივილი უნდა ავიტანოთ, მოვითმინოთ, ყოველ შემთხვევაში, რაღაც დროის მანძილზე მაინც. შემდგომ შესაძლებელია კვლავ მივმართოთ აქტიურ გადართვას, რათა სული მოვითქვათ. მაგრამ გარკვეულ მომენტში ადამიანი საჭიროებს დანაკარგის ტკივილის განცდას და ამაში მას ხელი არ უნდა შევუშალოთ.

განცდები, ტრავმული მოგონებები, მწუხარე ფიქრები უფრო ადვილად გადასატანია, თუ მათ შესახებ ვინმესთან ვისაუბრებთ. ეს მძლავრი საშუალება კაცობრიობის ყველა უბედურებათა უნივერსალური წამალია. ჩვენ სოციალური არსებანი ვართ და თუ დათრგუნულ გუნებაზე ვიმყოფებით, დიდ ფასეულობას წარმოადგენს შესაძლებლობა - საკუთარი გრძნობები გულისხმიერ ადამიანს გავუზიაროთ. მრავალი კრიზისის დროს წარმოიშობა მოთხოვნილება კვლავ და კვლავ ვილაპარაკოთ ჩვენს გასაჭირზე და ამის მეშვეობით გადავჭრათ ფსიქოლოგიური ამოცანა - ავითვისოთ ის ინფორმაცია, რომელიც კრიზისულ სიტუაციასთანაა დაკავშირებული. ყოველი ახალი მონათხრობით გრძნობები თავიდან განიცდება და ისინი თანდათანობით ნაკლებად საშიში ხდებიან.

გავრცელებული და ძალიან კარგი ხერხია - საკუთარ თავთან საუბარი. ადამიანები თავის თავთან საუბრობენ ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში-გულში უკეთებენ კომენტარს მომხდარს და საკუთარ გრძნობებს მის შესახებ. ჩვეულებრივ საკუთარ თავთანსაუბარი არ შეიმჩნევა, რადგანაც ცნობიერების სფეროს გარეთ ხდება. თუმცა, შესაძლებელია, გავარჯიშებით ყურადღება გავამახვილოთ მასზე და ვინც დაეუფლა ამ ჩვევას, მიღებული შედეგებით ხშირად თვითონვე მოდიან განცვიფრებაში. კრიზისის დროს, როდესაც ემოციური სფერო აგზნებულია, საკუთარ თავთან საუბარი უფრო ცნობიერი ხდება, ხოლო პრობლემების შინაგანი ჩალაპარაკება ემოციების რეგულირებას უწყობს ხელს. ეს ისე გამოიყურება, თითქოს პიროვნების მზრუნველი, დაკვირვებული და გულისხმიერი ნაწილი ცდილობს მეორის, „უსუსური და დათერგუნული ბავშვის“ დამშვიდებას. საკუთარ თავთან საუბარი ძალიან სასასრგებლოა, როდესაც ადამიანები აუტანელ გრძნობებს განიცდიან-მისი მეოხებით ემოციები ბოლომდე ვერ ითრევენ ადამიანებს და კონტროლის ფარგლებში რჩებიან. ძლიერი უარყოფითი ემოციები იწვევენ განსაკუთრებულად შავბნელ და კატასტროფულ ფიქრებს:

-მე ამას ვერ გაუძლებ;

-მე ჭკუიდან გადავდივარ;

-ეს საშინელებაა, ჩემი ცხოვრება დაინგრა;

-ვერასოდეს ვიქნები ბედნიერი;

-მე ვერავინ მიშველის;

-სრულიად მარტო ვარ;

-ცხოვრებას აზრი არა აქვს და ა.შ.

ერთ წუთით წარმოიდგინეთ, რომ ექსპერიმენტის სახით თქვენ გსურთ ცუდ გუნებაზე დადგეთ, რა საშუალებას მიმართავდით? ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური გზა - კვლავ და კვლავ გულში გაიმეოროთ ზემოთ ჩამოთვლილი ფრაზები. კიდევ უკეთესია, თუ მათ მაგნიტოფირზე ჩავიწერთ და ყურთსასმენებით მოვუსმენთ. ეს ასე თუ ისე, წააგავს იმას,რაც მოსდის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. ძლიერი ემოციები ფიქრებს ამ კალაპოტს აძლევენ ქვეცნობიერად, ადამიანის ნებისყოფის საპირისპიროდ, ამიტომ სასასრგებლოა მიზანდასახული ძალისხმევა, თავი წინააღმდეგობაში ვირწმუნოთ, რათა გავარღვიოთ მანკიერი წრე გრძნობებსა და ფიქრებს შორის. აქვე მოვიყვანთ იმ შემხვედრ ფრაზებს, რომლებსაც ჩვეულებრივ იყენებენ ის ადამიანები, რომლებიც ეფექტურად ძლევენ მძიმე ცხოვრებისეულ სიტუაციებს:

-მე ამას გადავლახავ;

-მე ამაზე უარეს მდგომარეობაშიც ვყოფილვარ, მაგრამ ყოველივე კეთილად დასრულებულა;

-ამაზე მეტი შაშინელება რაღა შეიძლება მოხდეს;

-ეს განცდები მძიმეა, მაგრამ ისინი მე ვერას დამაკლებენ;

-ეს არ შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს, უკეთესი დროც დადგება;

–სხვები უფრო ცუდ დღეშიც ჩავარდნილან, მაგრამ გამოსავალი უპოვნიათ და ა.შ.

საკუთარ თავთან საუბრის სტრატეგია მიზნად ისახავს კატასტროფული ფიქრების პირდაპირ დაძლევას. ის გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ წარსულის დადებითი გამოცდილება, წარმოდგენები საკუთარ თავზე და სხვებზე. მათი მეშვეობით თავისუფლდება ადამიანის შინაგანი რესურსები და შესაზლებლობები იმ სიტუაციაში, რომელიც გამოცდას უწყობს ადამიანის ნიჭსა და უნარს, დასძლიოს სტრესი.

ამ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა ის პრობლემები, რომლებსაც ადამიანი აწყდება კრიზისის საწყის ეტაპზე. ძლიერი უარყოფითი განცდების პიკზე, როგორებიცაა პანიკა და სასოწარკვეთილება. შემდგომში შემოგთავაზებთ სტრატეგიებს. რომლებსაც აზრი აქვს მივმართოთ მაშინ, როდესაც ძლიერი განცდები რამდენადმე უკვე შემცირებულია. აგრეთვე, შემოგთავაზებთ პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორ მოვუაროთ პრობლემებს და მოვიპოვოთ სჭირო ინფორმაცია, როგორ აღვიდგინოთ საკუთარ თავში რწმენა, როგორ ვმართოთ სტრესი და სხვა.

გესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

საქართველოში გრიპის, მათ შორის ღორის გრიპის პიკია – რჩევები და საფრთხეები

საქართველოში გრიპის, მათ შორის ღორის გრიპის გავრცელების პიკია, საავადმყოფოები გადაიტვირთა. ექიმები მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

„დეკემბრის მეორე ნახევრიდან მომართვიანობა მკვეთრად გაიზარდა. ქვეყნის მასშტაბით სასუნთქი სისტემის დაავადებების განყოფილება არის მხოლოდ იაშვილის კლინიკაში. 25 საწოლი დგას და, რა თქმა უნდა, არ გვყოფნის. ამიტომ კიდევ ერთი განყოფილება გამოვათავისუფლეთ. ახლა მწვავე რესპირაციული ინფექციებით აქ სამოცი პაციენტი წევს, - ამბობს ივანე ჩხაიძე, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, - მოსახლეობას უფრო ღორის გრიპი ახსოვს, მაგრამ ჩვენთვის, ექიმებისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს რომელი გრიპია. რესპირაციული ვირუსული ინფექციებიდან ყველაზე მეტად სწორედ გრიპს ვაქცევთ ყურადღებას, რადგან ის ყველაზე ხშირად იწვევს გართულებებს. სწორედ გრიპით ხვდებიან საავადმყოფოში და ხანდახან კვდებიან კიდეც“.

გრიპის სეზონად საქართველოში ეპიდემიოლოგები ნოემბერ-მარტის პერიოდს განიხილავენ. დაავადების პიკი ყოველ წელს სხვადასხვა თვეა, ყველაზე ხშირად მაინც დეკემბერ-იანვარი.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, გრიპის შემთხვევების მკვეთრი მატება საქართველოში დეკემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო. მაშინ გრიპის ხვედრითი წილი 25 პროცენტს შეადგენდა. იანვრის მესამე კვირას მაქსიმუმს მიაღწია და 60 პროცენტი გახდა. ახლა 58 პროცენტია.

რაც შეეხება დანარჩენ ვირუსებს, ესენია: მეტაპნევმოვირუსი [HMPV], რომელმაც ჩინეთის საავადმყოფოებში რიგები დააყენა, კორონავირუსი და რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი, რომელიც სასუნთქი გზებისა და ფილტვების ინფექციას იწვევს.

ივანე ჩხაიძე ამბობს, რომ ახლა საქართველოში სულ ათამდე ვირუსი ტრიალებს. აქედან ყველაზე გავრცელებული და სახიფათო გრიპია. ბოლო ორი კვირის მონაცემებით, გრიპის „ბ“ ტიპის ვირუსი 27 პროცენტია, დანარჩენი კი არის „ა“ ტიპის - იგივე ღორის გრიპი. „მაგრამ ამას მხოლოდ ვიწრო სპეციალობის ექიმებისთვის აქვს მნიშვნელობა, „ა“ და „ბ“ ტიპის ვირუსები კლინიკურად ერთნაირად ვლინდება“, - ამბობს ის.

გრიპის ვირუსი ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. განსაკუთრებით სახიფათოა ხუთ წლამდე ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის, ორსულებისთვის ან მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადება აქვს.

„ორსულებში გრიპმა შეიძლება ნაყოფს მიაყენოს ზიანი, თავად ქალზეც მოქმედებს. 2009-2010 წლის პანდემიისას 33 ადამიანი გარდაიცვალა, აქედან 9 ორსული. ამის გამო ყოველთვის ვამბობთ, რომ ორსულებში გრიპის ვაქცინაცია აუცილებელია“, - ამბობს ივანე ჩხაიძე.

„ღორის გრიპი“ იგივე H1N1 მსოფლიოს 2009 წელს მოედო და 280 ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

ღორის გრიპის სიმპტომები:

- *მაღალი ტემპერატურა (38^{0}C) - ცხელება, მაგრამ არა ყოველთვის;*
- *კუნთების ტკივილი;*
- *ოფლიანობა, შემცივნება;*
- *ხველა;*
- *ყელის ტკივილი;*
- *ცხვირიდან გამონადენი;*
- *დაღლილობისა და სისუსტის შეგრძნება;*
- *ღებინება, თუმცა იშვიათად.*

ექიმის ჩარევა დაავადებულს შეიძლება არც დასჭირდეს, მაგრამ თუ ავადმყოფს სუნთქვა უძნელდება, თავბრუ ესხმის, სუსტადაა და კუნთები სტკივა, სპეციალისტს უნდა მიმართოს. ღორის გრიპის კიდევ ერთი სიმპტომია დეჰიდრატაცია (მაგალითად, დაავადებულს არ აქვთ შარდვის სურვილი).

„თუ გრიპით დაავადებული რისკის ჯგუფშია, ოჯახის ექიმს უნდა დაუკავშირდეს, რომ მან დროულად დაიწყოს ანტივირუსული პრეპარატით მკურნალობა. გრიპის დადგენას ლაბორატორიული ანალიზი არ სჭირდება, ექიმი თავად დასვამს დიაგნოზს, - ამბობს ივანე ჩხაიძე, - რისკის ჯგუფში ვინც არ არის, მან უბრალოდ ტემპერატურა უნდა აკონტროლოს. თუ სიცხე 38,5 გრადუსზე მეტია და ტკივილიც გაუსაძლისი, სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი მიიღოს, ასევე ბევრი სითხე დალიოს“.

გრიპის წინააღმდეგ ეფექტურია ვაქცინაცია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი აღარ დაინფიცირდება. ვაქცინა მას მდგომარეობის გართულებისგან იცავს. იმუნიტეტის ჩამოყალიბებას დაახლოებით 3 კვირა სჭირდება. მის გასაკეთებლად ყველაზე კარგი დრო ოქტომბერ-ნოემბერია, თუმცა რისკის ჯგუფებისთვის ახლაც შეიძლება.

მეორე საშუალება, რომელიც ადამიანებს გრიპისგან დაიცავს, დახურულ სივრცეებში ნიღბის ტარებაა, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და ბაზრობებზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ხელების ხშირი დაბანა და შენობების განიავება.

* * *

გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მთავარ ეპიდემიოლოგს, **ლალი ალადაშვილს** დაუკავშირდა, იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტში. ***„დედოფლისწყაროშიც, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის შემთხვევები მომატებულია. გვაქვს, რა თქმა უნდა, გართულების შემთხვევებიც. მინდა მივმართო მოსახლეობას - ვირუსის სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, დროულად მიმართონ ექიმს და დაიცვან მედიკოსების რეკომენდაციები. ასევე, ნოემბრიდან დედოფლისწყაროში შემოსულია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა. სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერს შეუძლია მიმართოს ადგილობრივ ამბულატორიას და ჩაიტაროს ვაქცინაცია“*** – აღნიშნა დედოფლისწყაროს ეპიდემიოლოგმა.

„კლიმატგონივრული დაგეგმარების გაძლიერება საქართველოში“

ახალგაზრდებში ახალი უნარების, ენერგიის მართვის, კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების მიზნით დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ჟურნალისტთა კლუბი „ახალი თაობა“ აგრძელებს საინტერესო საქმიანობას.

ჩართულნი არიან ევროკავშირი საქართველოსათვის პროექტში „თემზე დაფუძნებული კლიმატგონივრული დაგეგმარების გაძლიერება საქართველოში“. პროექტის მიზანია თემის წევრების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, მობილიზებითა და აქტიური მონაწილეობით ადგილობრივი საქმიანობების კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციის გაძლიერება(მხარდამჭერი-ევროკომისია და შემსრულებელი-საქართველოს წითელი ჯვარი).

კლუბის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციისა და არსებული რისკების შემცირების საქმიანობაში. ***„ვფიქრობ, საინტერესო საქმიანობა ელით კლუბის წევრებს“*** - ამბობს კლუბის ხელმძღვანელი.

ვიცნობდეთ ჩვენს ისტორიულ წარსულს

„კამბეჩანში“ (ქიზიყში) ქ. ხორნაბუჯის გარდა ყოფილა სხვა ქალაქებიც. ჯუანშერი - (XI საუკუნის ისტორიკოსი) მოგვითხრობს, რომ „სპარსთა მეფემ შემუსრნა ქალაქი კამბესისანნი“ სხვა ქალაქებში, პირველ რიგში იგულისხმება ქალაქი „ხორანთა“ ლეონტი მროველის ცნობით, (მე-IX საუკ. მწიგნობარი) ეს ქალაქი მდებარეობდა „შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთა“ (მდ. იორი და მდ. ალაზანი) კამბეჩანში, რომ ორი ყველაზე დიდი ცენტრი – „ხორნაბუჯი“ და „ხორანთა“ არსებობდა, ისტორიკოსებმა ასე ახსნეს: „თეიმურაზ ბაგრატიონი ფიქრობდა, რომ ამ ორ სახელში ერთი ქალაქი იგულისხმებაო. „ხორანთა“ იყო ივერიის სოფელთა, დაბათა და ციხე ქალაქთა შორის ყველაზე ადრინდელი - „ფრიად დიდი და ერ-მრავალი ქალაქი და ციხე“ (1265 წ. საქ-ში ბერქა ყაენის (მონღოლი) დიდი არმია შემოიჭრა. იორ-ალაზნის ქვემო წელი - იგივე კამბეჩოვანი, იგივე ხორნაბუჯის საერისთავო, იგივე „ქიზიყი”- ისე ააოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავლობაში ამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მოსახლეობა ვეღარ მოშენდა.) როდესაც მიაკვლიეს ქ. „ხორანთას“ ნაკვალევს (აქ მოძიებილი არქეოლოგიური მასალები ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). გადაჭრით შეიძლება იმის მტკიცება, რომ „ხორნაბუჯი“ და „ხორანთა“ სხვადასხვა პუნქტია. უძველეს წარსულში „ხორანთის“ ტერიტორიაზე, სანამ ქალაქი აშენდებოდა, არსებულა მზის ტაძარი, რომელიც წარმართულ სალოცავს წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მის ნაფუძვარზე, აღმოცენებულა ციხე-ქალაქი. „ხორანთის“ ნაქალაქარი. ვრცელ ტერიტორიაზე გადაშლილი ყოფილა იორ-ალაზნის შესაყარზე, მისგან ჩრდილოეთით დაახლოებით 5 კილომეტრზე, ნაქალაქარი განლაგებული იყო ალაზნის გასწვრივ გამავალი ქედის სამხრეთ კალთებზე და ვრცელდებოდა ვაკემდე, საიდანაც „ელდრის“ ველი იწყება.

ლ. ჭილაშვილის აზრით: მართალია, დღეს ეს ადგილი დაუსახლებელია, მაგრამ ადრე ფეოდალურ ხანაში აქ მცხოვრებთა განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად ეს ადგილები საკმაოდ ნაყოფიერი გამხდარა ისე, რომ ქალაქის აშენებაც კი ყოფილა შესაძლებელი.

ლალი ბასილაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

ადამიანი და ბუნება

იგავ-არაკი

ზღვის პირას მდგარ მეთევზეთა სახლის სახურავზე ერთ ლამაზ ჩიტბატონას ბუდე გაეკეთებინა. შიგ სამი ბარტყი ეჯდა და ზრუნვას არ აკლებდა შვილებს. მეთევზეთა ნარჩენებით კვებავდა.

ლამაზად ღელავდა ზღვა და გამუდმებით ხმაურობდა. დღე დღეს მისდევდა, იზრდებოდნენ და ფრთიანდებოდნენ ბარტყები. ერთ მშვენიერ, მზით გაჩახჩახებულ დღეს სადილად ერთი ბარტყი არ დაბრუნდა. დაღონდა დედა, დაღონდნენ და-ძმებიც. საჭმელს პირი არც იმათ დააკარეს. ჩამოსხდნენ ბუდეზე და ლოდინი დაუწყეს. სად იყო და სად არა, პატარაც დაბრუნდა. განრისხდა დედა - სადა ხარ ამ არეულობაშიო და დასასჯელად მისწვდა.

– რატომ მსჯი, დედა, ბუნებაში გავისეირნე და იცი, რამდენი რამ შევიტყვე ბუნებასა და ადამიანზე?

- რაო, რა შეიტყვე? - ეკითხებიან და ძმები.

– ბუნებამ დაიჩივლა - ტოტი, რომელზეც ადამიანი ჩამოვსვი, სანახევროდ გადახერხაო... ადამიანო, მე ყოველთვის ვიყავი შენი მკურნალი და შენ რატომ გამხადე სამკურნალოო...

– კიდევ, კიდევ... - გარშემო შემოუსხდნენ და ძმები.

– თევზებმაც დაიჩივლეს – სათქმელი ახლა უფრო ბევრი გვაქვს, მაგრამ პირს საწამლავით მივსებთო.

- იცით, კიდევ რა ბრძანა ბუნებამ? - ყოველგვარ გარდაქმნაში ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ჩემს გარდაქმნას მოეშვითო. ადამიანმა ჩემი დალაგებული საქმეები ამირ-დამირია და არც მე ვაკლებ არევ-დარევასო.

- ქალაქმაც წაიტრაბახა - ჩიტის რძეც კი მომეპოვებაო, მარტო ჟანგბადი მაკლიაო...

- ეჰ, შვილო - ადამიანი ბუნებას ანადგურებს და ბოლოს თავის თავი გაუხდება „წითელ წიგნში“ შესატანიო - მიუგო დედამ ბარტყებს.

✍ დალი ფიროსმანაშვილი

ერთი კადრი წარსულიდან

1967 წელი, ქალაქ წითელწყაროს მთავარი პროსპექტი, კულტურის სახლის ასახვევი. ამჟამინდელი პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორია. ფოტო გადაღებულია გზის მოპირდაპირე მხარეს სამხედრო ნაწილის მესერიდან. ფოტოს ავტორი: კულაკოვი ო.ნ. საქართველო, კახეთის რეგიონი, დაბა წითელ-წყარო (დედოფლისწყარო). დაცულია რუსულ არქივებში

მონატრება

ზაზა პოპიაშვილი



მაგიდაზე შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ციმციმს და საკმეველის სუნს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები: „გილოცავთ დაბადების 46 წლისთავს, იმქვეყნად, ზეცაში, შვილო. მოდის ჩემთვის ყოფილი სანატრელი, სასიხარულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი.

შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს ვერც 17 წელმა უშველა, შვილო, ისევ ისე მტკივა, ისევ ისე მენატრები და მიყვარხარ ჩემო სიცოცხლე. ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული, უზომო სულის ტკივილია უშენობა. ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო, 27 წლისად დარჩენილო შვილო.

ყველაფერი უფლის ნებაა. ჩვენ ვერაფერს შევცვლით. მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეებისა და წლების გატანას. შენს სახეს და სითბოს ვეძებ შენს შვილში, რომელიც ძალიან გგავს. მახსენდება ჩვენი ერთად ყოფნის 27 წელი. მახსენდება ის უმნიშვნელო დეტალებიც კი, რომელსაც ადრე მნიშვნელობას არ ვანიჭებდი.

დედა მოგიკვდეს, ჩემო ზაზა, უშენობა ჩემი გულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა, განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედის გულს? ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ, შვილო. როგორ მინდა კიდევ ერთხელ ძლიერად ჩაგიკრა გულში, მოგეფერო, ვიგრძნო შენი სითბო და სიყვარული, მინდა დაგიკოცნო ლამაზი თვალები, მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ, ჩემო ზაზა, ჩემო უდროოდ წასულო შვილო.

სიცოცხლის ბედი არ გქონია, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი საყვარელი მეუღლე ნათია, და ქალიშვილი ლიკა. ლიკა უკვე დიდი გოგოა, 24 წლისაა. იმ ქვეყნიდან ილოცე შენი შვილისთვის ჩემო ზაზა.

ჩემო ზაზა, შენს სურათთან და საფლავთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ლოცვები და ფსალმუნები არ შემწყდარა, მაგრამ, ჩემო ნუგეშო, სიცოცხლე და სიხარული, ჩაგვიქრა შენს მშობლებს, ოჯახს, შენს ერთადერთ ძმას. ჩაიფერფლა შვილო და ქარს გაჰყვა ჩვენს გულში ყველა იმედი და ოცნება, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს და ამ საშინელ ტკივილს და მწუხარებას რწმენითა და ლოცვით მიმსუბუქებს. ჩემი მწარედ დაღვრილი ცრემლი ცვარად მოგეფინოს ცათა სასუფეველში, ღმერთო, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს ზაზას, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი.

მურთაზ პოპიაშვილი

დაბადების დღეს გიხდი, მამიკო,
დღეს ხომ იანვრის ცხრამეტი არის.
სხვისთვის ღვთით ფასობს, მე კი ღვინით და ანთებულ სანთლით,
დაბადების დღეს გიხდი, მამიკო
შენ სულ ლამაზი იყავი ჩემთვის,
სხვა დრომ წაიღო ვით წყალმა ტივი,
ახლა შენს ღიმილს ვეღარა ვხედავ,
მე ხომ შვილი ვარ და მენატრები...
შენ გაჩენილხარ დიდ სიყვარულად,
სითბოდ, იმედად, მშვენებად სრულით,
შენგან დატოვილ ტკივილს ფარულად ვატარებ,
სანამ გაუძლებს გული.
დღეს ხომ იანვრის ცხრამეტი არის,
სხვისთვის ღვთით ფასობს, ჭიქა ღვინით და ანთებულ სანთლით,
დაბადების დღეს გიხდი, მამიკო!

სიყვარულით, შენი მარიკა
(ლექსის ავტორი შოთა ტოგონიძე)

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი იუწყება თანამშრომლის

ლალი ხუციანიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ელზა და ელგა ხარაშვილები, შორენა მამულაშვილი და სალომე ნატროშვილი, მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი მეგობრისა და მეზობლის,

ლალი ხუციანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

1977 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ჯულიეტა გოგილაშვილი სამძიმარს უცხადებენ ნანა ლოლაშვილს მეუღლის

გოდერძი გიგაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაშლოვანის ნაკრძალის წლიური ანგარიში

/დასაწყისი გვ.5/

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების რეაბილიტაციისა და ძოვების მდგრადი პრაქტიკის შემოღების მიზნით განხორციელდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“. პროექტი ეხებოდა დაცულ ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ზამთრის ბინებს (44 ფერმა). შეიქმნა საძოვრების მართვის სამენეჯმენტო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ახალი საიჯარო ხელშეკრულებების დადება. გეგმის ზოგადი ამოცანებია: ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ეკოლოგიური მენეჯმენტისა და ტრადიციული ძოვების პრაქტიკის მეშვეობით; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება საძოვრების მდგრადი მართვის გზით; საძოვრების მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვისა და განხორციელების მხარდაჭერა; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მონაწილეობითი მართვის უზრუნველყოფა. ფერმერთა საარსებო გარემოს გაუმჯობესებისათვის განხორციელდა წყალსადენის ორი ხაზის მშენებლობა „მლაშე წყალი - ბუღა მოედანი“ 24 კილომეტრზე და „მამაჩაის ხევი - სამუხი“ 7 კილომეტრზე. ამჟამად „მლაშე წყალი - ბუღა მოედანის“ ხაზი დაზიანებულია და არ ფუნქციონირებს. „მამაჩაის ხევი - სამუხის“ წყალსადენის ხაზი გამართულად ფუნქციონირებს.



ეკოტურიზმი

2024 წლის დასაწყისში განახლდა თემატური ტურისტული პაკეტები და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა ამ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ადგილობრივი სერვისების მიმწოდებლები აქტიურად არიან ჩართული აღნიშნულ შეთავაზებებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა საინფორმაციო მასალების მიწოდება ტურიზმის სფეროში ჩართულ ორგანიზაციებთან, ვიზიტორებთან, ტურისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

2024 წლის 23 მარტს, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო კომპანია „ნატურისტორიუმი“-ს საავტორო ეკო-ტური ადგილობრივი სერვისების მომწოდებლების (მძღოლების) ჩართულობით.

2024 წლის აპრილში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქართული ტურისტული კომპანიებისთვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ტური მოაწყო.

ინფო-ტურში კერძო სექტორის 16 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ტურისტული კომპანიები საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, „ჩიტოა“ - საქართველოს შემომყვან ტურო-პერატორთა ასოციაციამ, „GTA” - საქართველოს ტურიზმის ასოციაციამ და ეკოტურიზმის ასოციაციამ შეარჩიეს.

ვიზიტორთა 43% არის მდედრობითი, ხოლო 57% მამრობითი. ვიზიტორთა 47% ქართველია, ხოლო–53% უცხოელი. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სტუმრები უცხო ქვეყნებიდან ძირითადად იყვნენ გერმანიიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, ბელგიიდან და ნიდერლანდებიდან.

წლის განმავლობაში გამოიკითხა 195 ვიზიტორი. მათი უმეტესობის ასაკი მერყეობს 26-35 წლამდე. უმეტესი ნაწილი სამოგზაუროდ იმყოფება მეგობრებთან ერთად. ვიზიტის მოტივი ძირითადად არსებული ბიომრავალფეროვნება და რეკრეაციაა. უპირატესობას კომბინირებულ, სამანქანე და საცხენოსნო ტურებს ანიჭებენ. ტურისტული სერვისების ფასები მათი უმეტესობისათვის მისაღებია და თვლიან, რომ ხელმისაწვდომია. თუმცა, პირად საუბრებში აღინიშნა ისიც, რომ ძალიან დაბალია ტერიტორიაზე შესვლის გადასახადი. მათი უმეტესობა ამბობს, რომ საშუალოდ 15-25 ლარის ფარგლებშიც მათთვის მისაღებია შესვლის გადასახადი. ამჟამად ტერიტორიაზე შესვლის გადასახადი შეადგენს 5 ლარს (ერთი პერსონა, ერთი მანქანა). ვიზიტორების უმეტესობა აღნიშნავს, რომ საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საუბარი ძირითადად საპირფარეშოებს ეხება.

დაცული ტერიტორიების დაარსების შემდგომ წლიდან-წლამდე იზრდება საოჯახო სასტუმროების მაღაზიების და კვების ობიექტების რაოდენობა; ამჟამად 17 საოჯახო სასტუმროა, 39 მაღაზია, 20 კვების ობიექტი.

ტურისტულ საქმიანობაში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა, დაახლოებით 170 ადამიანია დასაქმებული.

ინფრასტრუქტურის განვითარება

2024 წელს დაცულ ტერიტორიაზე სამ ლოკაციაზე დამონტაჟდა ახალი სასაზღვრო ნიშნული, 10 ლოკაციაზე გარემონტდა საგზაო (მიმართულების) ნიშნული. მიჯნის ყურის ბუნგალოების სველ წერტილებში შეიცვალა წყლის ონკანები. არწივის ხეობის და ბუღა მოედნის (ვოლიერის) დაცვის სადგურის ამორტიზებული ხის მოაჯირები შეიცვალა კუთხოვანი რკინის მოაჯირით. არწივის ხეობის ბუნების ძეგლზე მოეწყო ბარიერები.

დეკემბრში დამთავრდა ცენტრალური ბუნგალოების წყლით უზრუნველყოფის მიზნით 150 მეტრის სიღრმის არტეზიული ჭის გაბურღვა-მოწყობა.

წყლის დებეტმა ერთ საათში შეადგინა 5 ტონა. ტახისწყლის ხეობის სათავეში მიმდინარეობს რეინჯერთა ახალი სადგურის მშენებლობა.

ნოემბრის ბოლოს დაცული ტერიტორიების საგენტოს დახმარებით სპეცტექნიკის გამოყენებით მოხდა 6კმ-ის სიგრძის „უსახელოს - მიჯნისყურის“ გზის რეაბილიტაცია.

ტახისწყლის ხეობის სათავეში მიმდინარეობს ახალი რეინჯერთა სადგურის მშენებლობა.

2025 წლის განმავლობაში იგეგმება ქ.დედოფლისწყაროში ადმინისტრაციული ცენტრის შენობის რემონტი, მიჯნისყურის და ცენტრალური ბუნგალოების რეაბილიტაცია-რემონტი.

2024 წლის იანვრის თვის ბოლოს დაცვის განყოფილების უფროსის მიერ ჩატარდა რეინჯერთა შიდა ტრენინგი თემაზე: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის და ნარჩენების მართვის კოდექსის გამოყენების წესი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების წესი; გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის მეთოდიკის გამოყენების წესი. გარდა ამისა „სმარტ პატრულირების“ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით დაცვის განყოფილების თანამშრომლებს დამატებით ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები.

მარტის თვეში „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის“ (საბუკო) დახმარებით, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების 12 რეინჯერს ჩაუტარდათ ველზე პირველადი სამედიცინო დახმარების სპეციალური ტრენინგი.

ივნისი - სექტემბრის თვის პერიოდში დაცვის განყოფილების თანამშრომლების ნაწილს ჩაუტარდათ შემდეგი სახის ტრენინგები: „კანონაღსრულება დაცულ ტერიტორიაზე“; „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და ფოტო-ხაფანგების გამოყენება დაცულ ტერიტორიაზე“; „ტყის მართვა დაცულ ტერიტორიაზე“;

- SMART პატრულირების ტექნოლოგიის განვითარება.

2025 წლის გეგმა:

- ქურციკის რეინტროდუქციის პროექტი (სამუხის ველზე დაცვის სადგურის მშენებლობა, წყლის დაბურღვა, დაცვის სისტემის აწყობა და ა.შ).
- რეინჯერთა დაცვის სადგურების რეაბილიტაცია-რემონტი.
- ტახისწყლის დაცვის სადგურის მშენებლობის დამთავრება.
- ცენტრალური ბუნგალოების წყლით უზრუნველყოფის მიზნით წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობა და არტეზიული ჭის წყლის ლაბორატორიული ანალიზის გაკეთება.
- მიჯნისყურის და ცენტრალური ბუნგალოების რემონტი.
- რეინჯერების ტრენინგი კანონაღსრულების, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, პირველადი სამედიცინო დახმარების კუთხით.

✍ ილია მარტყოფლიშვილი



ულოცავენ!

ანზორ კირვალიძეს!

საუკეთესო მეუღლეს, მამას, პაპას, მეგობარს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს. ღმერთმა მრავალ დაბადების დღეს მოგასწროს მხნედ და ჯანმრთელად. გვეგულებოდე ჩვენს იმედად და ოჯახის ბურჯად!

სიყვარულით, ***ირინა, სოფო და ლევან კირვალიძეები***

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი

ორშაბათი 03.02		სამშაბათი 04.02		ოთხშაბათი 05.02		ხუთშაბათი 06.02		პარასკევი 07.02		შაბათი 08.02		კვირა 09.02	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8 °	-2 °	7 °	-2 °	7 °	-2 °	5 °	-2°	4 °	-3 °	4°	-3 °	4 °	-3 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბკოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი